ჯგუფური პროექტის გაფორმების წესი

ჯგუფური პროექტის მიზანი

ჯგუფური პროექტი წარმოადგენს სტუდენტთა ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოს, რომელშიც უნდა აისახოს ჯგუფის თითოეული წევრის დარგობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

სტუდენტებმა უნდა შეძლონ პროექტში დასმული პრობლემის გადაჭრის თეორიული და ტექნოლოგიური მეთოდების დამუშავება, მათ საფუძველზე დასმული პრობლემის გადაწყვეტა და განხორციელებული პროექტის შედეგის განხილვა.

სტრუქტურა

1. თავფურცელი

1) უნივერსიტეტის დასახელება;
2) თემის დასახელება;
3) პროექტის შემსრულებელ სტუდენტთა სია: სახელი და გვარი;
4) ფაკულტეტის დასახელება;
5) ხელმძღვანელის სახელი და გვარი აკადემიური ხარისხის მითითებით;
6) ქალაქი;
7) წელი.

2. სარჩევი

სარჩევი მოიცავს პროექტის ანოტაციის, ტექსტის, გამოყენებული ლიტერატურის და დანართების გვერდების ნომრებს.

3. ანოტაცია

ანოტაცია ასახავს ნაშრომის ძირითად მიზანსა და მოკლე შინაარსს. ანოტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე. ანოტაციის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 გვერდს.

4. შესავალი

შესავალი ასახავს თემის აქტუალობას, დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. შესავლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 3 გვერდს.

5. ტექსტის ძირითადი ნაწილი

ტექსტის ძირითადი ნაწილი შეიძლება შედგებოდეს თავების, პარაგრაფების და ქვეპარაგრაფებისაგან.

ტექსტის ძირითად ნაწილში ასახული უნდა იყოს:

1) პროექტში დასმული პრობლემის აქტუალობა (მიმოხილვა)(არ უნდა აღემატებოდეს საერთო მოცულობის 1/3-ს);
2) პროექტში დასმული პრობლემის გადაჭრის თეორიული და ტექნოლოგიური მეთოდები;
3) განხორციელებული პროექტის შედეგის განხილვა.

ტექსტის ძირითადი ნაწილი აკრეფილი უნდა იყოს A4 ფორმატის სტანდარტული ფურცელზე;
შრიფტი - sylfaen, შრიფტის ზომა - 11;
საილუსტრაციო მასალები შეიძლება ინტეგრირებული იყოს როგორც ტექსტის ძირითად ნაწილში ასევე მოწოდებულ იქნეს დანართების სახით.

6. დასკვნა

დასკვნა ჯგუფური პროექტის შედეგების მოკლე ამსახველი ნაწილია. იგი მოკლედ უნდა პასუხობდეს ნაშრომში დასახულ მიზნებსა და ამოცანებს.

7. გამოყენებული ლიტერატურა

ლიტერატურა წარმოდგენილი უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით. ჩამონათვალში ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, შემდეგ - უცხოურ ენებზე.

8. დანართები

დანართში წარმოადგენილი უნდა იყოს პროექტის „კოდი“ დისკზე, მისი ინსტალაციის და ფუნქციონირების ინსტრუქციით და სხვა მასალა (არსებობის შემთხვევაში).

აკინძული ნაშრომი დაცვაზე წარმოდგენილი უნდა იყოს 1 ეგზემპლიარად, ხოლო ელექტრონული ვერსია აიტვირთოს სტუდენტური კონფერენციის ვებ გვერდზე.